ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი № 6

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.N65 11.05. 2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ივანიაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გია მატარაძე, გელა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, კობა ტოხვაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, გელა ვარდოსანიძე, რამაზ არველაძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში ლუბა გოგოძე.

სხდომა 12^{00}-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2022 წლის 11 მაისის სხდომის

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 09 თებერვლის №5 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა“-ში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

მომხსენებელი: ნარგიზი ალფაიძე

2.„ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

მომხსენებელი: პაატა შალამბერიძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, აპრილის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა:

მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

4. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭვალაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხილვის შესახებ;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

6.ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშისა და სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

მომხსენებელი: ივანე მამაფორია

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2022 წლის 11 მაისის ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 09 თებერვლის №5 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა“-ში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ამ დადგენილებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები. შეიცვალა დადგენილების სათაური, ასევე შეიცვალა დახმარებების თანხის მოცულობა: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისთვის ერთ ბავშვიან ოჯახზე არაუმეტეს 500 ლარით, ორბავშვიან ოჯახეზე არაუმეტეს 900 ლარით, სამბავშვიან ოჯახზე არაუმეტესს 1200 ლარით, ოთხბავშვიან ოჯახზე არაუმეტესს 1400 ლარით, ხუთ და მეტბავშვიან ოჯახებზე არაუმეტეს 1500 ლარით. დახმარები მიმღები ოჯახი ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ფაქტობრივად უნდა ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა პაატა შალამბერიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“ . მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და საწყისი ფასები.

1.ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედა ვანში, მდებარე 114 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.02.22.078), განთავსებული შენობა -ნაგებობა (დემონტაჟი), საწყისი საპრივატიზებო საფასური 100 (ასი) ლარი;

2. ვანშის მუნიციპალიტეტში, სოფელ მთისძირში, მდებარე 96650 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.31.103), საწყისი საპრივატიზებო საფასური 67700 (სამოცდაშვიდი ათას შვიდასი) ლარი;

3. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ შუამთაში, მდებარე 26 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.28.299), საწყისი საპრივატიზებო საფასური 600 (ექვსასი) ლარი.

4. ქ. ვანში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 600 კვმ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.30. 966), საწყისი საპრივატიზებო საფასური 20 000 (ოციათასი) ლარი.

5. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 38 კვმ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26. 513), საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯების ანაზღაურების თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 2 მაისის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მაისის თვეში

საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ 675 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა სსიპ „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლისათვის“ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტობანიერის სკოლის სამეურვეო საბჭოდან შემოსულია განცხადება. მომზადებულია ყველა პროცედურული საკითხი და ითხოვენ თანხმობას, რომ სკოლას მიენიჭოს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია გასარკვევია და შესათანხმებელია რიგი საკითხები, ამიტომ ჩემი წინადადებაა ამ ეტაპზე შევაჩეროთ საკრებულოზე მისი განხილვა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი არ იქნას შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშისა და სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

მომხსენებელმ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 29 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 24 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 8750,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 9300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 550,0 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში ორჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 15329,1,5 ათასი ლარის, გადასახდელები 18307,9 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2978,8 ათასი ლარის მოცულობით.

2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 15129,1 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო პერიოდის გეგმა 2860,2 ათასი ლარით. ბიუჯეტში მობილიზებულია 2744,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 18,1% -ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 96,0% -ს შეადგენს.

გადასახადების 2022 წლის საპროგნოზო მოცულობა 7582,6 ათასი ლარით, ხოლო პერიოდის გეგმა 1845,7 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 1796,0 ათასი ლარი წლიური გეგმის 23,7 % და საანგარიშო პერიოდის გეგმის 97,3%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2022 წლის გეგმა 7039,0 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდის გეგმა 976,5 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 919,5 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 13,1%-ით, ხოლო პერიოდის გეგმა 94,2%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 507,5 ათასი, ხოლო პერიოდის 38,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 28,9 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 5,7%, პერიოდის გეგმის 76,1% ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 9530,6 ათას ლარს, პერიოდის კი 2519,9 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 2365,7 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 24,8% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 93,9%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული წლიური 8521,3 ათასი ლარით განისაზღვრა, პერიოდის გეგმა კი 2390,7 ათასი ლარით. საკასო შესრულება 1917,4 ათასი ლარია, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 22,5% და საანგარიშო პერიოდის გეგმიური მაჩვენებლის 80,2% ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნების წლიური გეგმა 18307,9 ათას ლარს, ხოლო პერიოდის გეგმა 4910,6 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებაა 4283,1 ათასი ლარი, წლიური გეგმის 23,4% და პერიოდის გეგმის 87,2%.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2022 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის

მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 33,4 ათასი ლარი გამოიყო, საიდანაც საჭირო ლისა და მომსახურების მუხლით 4,0 ათასი ლარი მიიმართა, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 29,9 ათასი ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ცნობად იქნა მიღებული ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშისა და სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე